**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 199 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 199

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ., თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

პირველ სეკტემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის" კანტორა ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа".

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა"-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА". (40—21). (იხ. განცხ. მე-4 გვ.). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

**Sამეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, პირველ სეკდემბრის ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასში; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი. 13-14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

ს ა ჭ ი რ ო ა

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (ბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20. (30—1).

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

## მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности). (2—2).

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი** აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები; დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობის თვემდინ.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს აზნაურობის, წლოვანობის და ყვავილის აცრის მოწმობები. ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობის თვეს.

ხელმეორე გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობის თვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

(3—6—3)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელმი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არშანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Нава-ар[illegible]. Тифлисъ противъ памяти Во-ронц[illegible]

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—უორდანთოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშეილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ბარონის ქუჩა, № 18, მესხიშვილის სახლი, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის ანეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჩხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. ბ მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროატით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)


## უმაღლესი მანიფესტი

(დასასრული *)

XXX. სამართალსა და პასუხის გებაში მიცემულნი, რომელნიც ამ მანიფესტის ძალით განთავისუფლებულ უნდა იქმნენ სამართლისა და სასჯელისაგან, თუ თავს დამნაშავედ არა სცნობენ და ჰსურთ თავის გამართლება, შეუძლიანთ ერთის თვის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც საქმის მოსპობის ამბავი იქმნება გამოცხადებული, ითხოვონ გამოძიებისა და სამართლის განახლება; ამგვარადვე შეუძლიანთ მოითხოვონ საქმის დამთავრება იმათ, ვისაც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე ჩადენილ საქმეებისათვის სამართალი და პასუხის გება მოელის, ამ მანიფესტის ძალით შემდეგში თავისუფალი უნდა იქმნას და ვინც არ მოისურვებს ამ წყალობით სარგებლობას, პირველნიც და მეორენიც, თუ დამნაშავენი აღმოჩნდებიან, ამ მანიფესტის ძალით პატიებას ველარ ეღირსებიან.

XXXI. თუ მანიფესტის განხორციელების დროს რაიმე ეჭვი დაიბადა, მთავრობის ყველა დაწესებულება ვალდებულია მიჰმართოს უმართებულეს სენატის პირველ დეპარტამენტს: ხოლო თანხების შესახებ, რომელიც უნდა შეიკრიბოს დედოფალ მარიამის უწყების დაწესებულებათა სასარგებლოდ—სააპეკუნო საბჭოს. უმართებულესმა სენატმა და სააპეკუნო საბჭომ, თუ აღმოჩნდა ისეთი საქმე, რომელიც იმათ უფლებას აღემატება, დებულების წესით უნდა აიღონ ჩვენი ნებართვა.

XXXII. ფილიანდიის დიდ სამთავროს მკვდრთ ებოძათ შემდეგი წყალობანი და შეღავათი: 1) ეპატიოთ ის პირადი და საადგილ-მამულო გარდასახადი, რომელიც 1904 წლის 1 იანვრისთვის იყო გარდასახდელი და არ გარდახდილა მემკვიდრის დაბადების დღემდე და ეპატიოთ აგრედვე ზოგიერთი სხვა გარდასახადი; 2) ეპატიოთ მოუსავლობით დაზარალებულთ მეთხედი პირველად მიცემულ იმ სესხისა ფულად, ხორბლად ან ფქვილად, რომელიც მემკვიდრის დაბადების დღემდე არ დაბრუნებიათ; 3) ფინლიანდიის ხაზინიდან გადაეცეს მილიონი მარკა უმიწაწყლოთა საჭიროებისათვის დანიშნულ ხელ-უხლებელ ფონდს; 4) ეპატიოთ მცხოვრებთ მემკვიდრის დაბადების დღემდე გარდაუხდელი ჯარიმები, რომელიც დაედო სოფლისა და ქალაქის საზოგადოებებს 1902 და 1903 წლებში სამხედრო საკრებულოების წევრთა აურჩევლობისა გამო, თუ საზოგადოებებმა აღნიშნული მოვალეობა 1904 წელს აასრულეს; 5) უფლება მიეცეთ ნება-დაურთველად გახიზნულთ უშიშრად დაბრუნდნენ ფილიანდიაში ერთის წლის განმავლობაში მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღიდან, იმ პირობით-კი, რომ, ვინც სამხედრო ბეგარა მოსახდელია, ეს დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ადგილობრივ სამხედრო საკრებულოში; 6) სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნან ისინი, რომელნიც, კანონის წინააღმდეგ, არ გამოცხადდნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად, თუ ესენი მემკვიდრის დაბადების დღიდან 3 თვის განმავლობაში სამხედრო საკრებულოს გამოეცხადებიან; 7) სასამართლოსა და სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნან ის დამნაშავენი, რომელთა დანაშაულობისთვისაც უმაღლეს სასჯელად დადებულია ფულის გადახდა 500 მარკამდე, დაპატიმრება ერთ წლამდე, დათხოვნა, თუ ეს დამნაშავენი მემკვიდრის დაბადების დღემდე პასუხის გებაში არ ყოფილან მიცემულნი, თუ მათ შესახებ არ ყოფილა გამოცხადებული ან სისრულეში მოყვანილი სასამართლოს განაჩენი; გან-

*) იხ. „ივერია" № 198.

თავისუფლებულ იქმნან სასჯელისაგან აგრეთვე ისინი, რომელნიც აღნიშნულ დანაშაულობისთვის სასჯელს უკვე იხდიან; ეს წყალობა არ ეხება იმათ, რომელთაც ჰბრალდებათ ქურდობა, გაფლანგვა, მოპარულის დამალვა, ძარცვა, დატყუება, სიყალბე და საზოგადოდ ის დანაშაულობანი, რომელსაც შედეგად მოსდევს ნდობის დაკარგვა, ან ფინლიანდიის სამსახურიდან დათხოვნა; აგრეთვე იმათ, რომელთა დანაშაულობაც კერძო ბრალდებით არის დაწყებული; იმათ, ვინც ეს დანაშაულობანი ჩაიდინეს და და ვისაც ზემო აღნიშნულზე მეტი სასჯელი მოელით, შეუმცარდეთ სასჯელი ერთის მესამედით; ხოლო იმათ, ვისაც სამუდამოდ დაპატიმრება აქვთ გადაწყვეტილი, 14 წლის ვადა დაენიშნოთ; 8) ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა შეიმუშაოს ის ღონისძიებანი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქმნას იმათ ბედის გასაუმჯობესებლად, რომელთაც აკრძალული აქვთ ფინლიანდიაში ცხოვრება; თავისი მოსაზრებანი გენრალ-გუბგრნატორმა უმაღლესად განსახილველად უნდა წარადგინოს; 9) თუ ამ მუხლის განხორციელების დროს რაიმე ეჭვი დაიბადა, ამ ეჭვის გადაწყვეტა მიენდოს ფინლიანდიის სენატს ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორთან შეთანხმებით.

ბოძებულია 11 აგვისტოს, ქრისტეს დაბადებიდან ათას ცხრაას მეოთხესა წელსა, ჩვენისა მეფობისა მეათესა წელსა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: «ნიკოლოზ».

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

ლიაოიანის ბრძოლა.—რუსის ლაშქრის უკან დაწევა.—წვრილი ცნობები.

ლიაოიანის ომმა უნდა დაგვარწმუნოს, რამდენად სტყუვდებიან და გვატყუებენ კერძო დეპეშები და გაზეთების მიმომხილველნი, როდესაც ამბობენ, ვითომც იაპონიის ჯარი მრავლად იჟლიტება. ამისთანა ტკბილ ოცნებას რომ ავყვეთ, ჩინელების ჭორებსა და ჩინურ ენის უცოდინარობაზედ დამყარებულს, უნდა დავუჯეროთ, რომ ლიაოიანის ბრძოლამდე კუროკის ლაშქარმა 28,000 მეომარი დაჰკარგა, ნოძუს ლაშქარმა—16,000 და ოქუს ლაშქარი ხომ ნახევრად გაჟლეტილა, რადგან 39,000 მეომარი დაუკარგავს. ეს მხოლოდ დიდ ბრძოლებში. ამას ისიც რომ დაუმატოთ, რაც მრავალ მცირე შეხლა-შეტაკებაში დაეხოცათ, გამოვა რომ 100,000 კაცი დაუკარგავთ, პორტ-არტურთან დაღუპულთა გარდა. ახლა იანგარიშეთ, რამდენი გაიჟლიტა ხოლერა-დიზენტერიებითა, სხვადასხვა მოარულებითა და სიმშილით. მაშ რა ძალადა უნდა შერჩენოდათ? ეტყობა, იაპონელები მართლა სასწაულთ-მოქმედნი ყოფილან, როგორც გენერალი დრაგომიროვი ამბობს, რომ ლიაოიანთან 300,000 მეომარი გააჩინეს და მკვიდრ სიმაგრეებიდგან გამოგვაძევეს! ნუ თუ ქაღალდზე ხოტბების შემსმენელთ ვერ შეუგნიათ, რომ ჩვენს მამაც ლაშქარსა და მის სარდალს ამისთანა ლაპარაკით შეურაცხყოფენ? ვინც იმათ აღფრთოვანებულ ქება-დიდებას წაიკითხავს, ნუ თუ არ იფიქრებს: მაშ რატომ ვერ დაუმარცხებიათ იაპონელები, რაღათა სთხოვენ ხალხს ახალ-ახალ მსხვერპლს, რისასთვის მიჰყავთ აღმოსავლეთისკენ ახალ-ახალი პოლკები? ჩვენი იარაღი ხომ იაპონელებისას სჯობია, იაპონელები ყოველ დღე ათასობით იჟლიტება, ჩვენი ზანაკი ციხესიმაგრეა, რკინის გზა ჩინებულად მოქმედობს, მაშ რაღას უცდიან?.. დროა, ქაღალდის გმირები გმოაფხიზლდნენ. მართლა, უშველებელ რუსის ერს ტყუილსიცრუეის ფარდას ხომ ვერ შემოახვევთ, როგორც საწყალ ჩინელებს 1894—1895 წლის ომში მანდარინები საქვეყნოდ ატყუებდნენ, იაპონელების ფლოტი შევმუსრეთ და მისი ლაშქარი გავაბნიეთო, როდესაც თვით ჩინეთის ჯარი დამარცხდა და გაიფანტა. ჩვენის გაზეთების მანდარინებს არ აწყენდა, რომ ნამდვილ გარემოების ღირსეულად დაფასება გენერალ კუროპატკინისა და მის შტაბისაგან ისწავლონ: ოფიციალურს ცნობასა და მოხსენებაში სიტყვა «გამარჯვება» ერთხელაც არ წამოსცდენია...

ჩვენ გვარწმუნებენ, ლიაოიანთან მხოლოდ დიდ რაზმების ბრძოლა იყო და ნამდვილი ომიო. სააგენტოს დეპეშები-კი შემდეგ ცნობებს გვაძლევს: აგვისტოს 16 დან 19-მდე ჩვენის ჯარის დანაკარგი 10,000 მეომარს შეადგენს. ამდენივეა იაპონელების დანაკარგიც, როგორც იმათი ოფიციალური დეპეშები იუწყება. 11-დგან 15-მდე თითო მხარეს 14,000 კაცი დაუკარგავს. 20 აგვისტოს 4,000 კაცი დაგვეღუპა და 21-ს ხომ ერთიორად მეტი დაგვეღუპებოდა და, რადგან ამ დღეს ჯარი უკუ-იწევდა. ჩვენი დანაკარგი 26,000-მდე ავიდოდა. ამავე დროს, ე. ი. 21 აგვისტომდე, იაპონელებს დაუკარგავთ 23,000 კაცი, როგორც ოფიციალურად იუწყებიან. ეს რიცხვი სახელდახელოდ არის შედგენილი და, შესაძლოა, ორთავ მხარეს დანაკარგი მეტი იყოს და 60,000 კაცს უდრიდეს, როგორც კერძო დეპეშები გვაცნობებს. ამრიგად, ლიაოიანის ომი უფრო მწვავე ყოფილა, ვიდრე სედანისა და კენიგრეცისა.

ამისთანა ზიანი ძალიან დააუძლურებს ორსავე მხარეს და ომს შეაფერხებს. იმედია, ჩვენი ჯარი ისე მოახერხებს მუკდენისაკენ დაწევას, რომ დიდი ზიანი აღარ მიეცეს და 11 დღის ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარი ცოტად მაინც შეისვენებს.

თუ რომ მარშალმა ოიამამ მოახერხა წინ წამოსვლა, მაშინ, საფიქრებელია, კუროკისა და ნოძუს ლაშქრები მუკდენს გაეშურებიან და ოქუს ლაშქარი-კი ფეხდაფეხ მოჰყვება ჩვენს ჩამორჩენილს ჯარს. გენერალ კუროპატკინის ლაშქარი მხოლოდ მაშინ გამოვა საშშვიდობოს, თუ რომ კუროკის გამოასწრო და იმაზე ადრე მოვიდა მუკდენს. ჩვენმა ლაშქარმა უკან დაწევის დროს იაპონიის ლაშქრებს წინ უნდა გამოუაროს და ჩვენს უკანა რაზმს განსაცდელი მოაშოროს. ჩვენი იმედი მხოლოდ ის არის, რომ იაპონიის ჯარიც დაქანცულია და ისე სწრაფად და ენერგიულად ვერ იმოქმედებს, როგორც დასვენებულ ჯარს შეუძლიან.

20 აგვისტოს გენერალ კუროპატკინის დაზარალებულ ლაშქარში 195,000 მეომარი მაინც დარჩებოდა 500 ზარბაზნით, აქედგან ლიაოიანის სიმაგრეში სარდალმა 30,000 კაცი დასტოვა, რომ მტერი შეეჩერებინა, და თვითონ 165,000 მეომარითა და 450 ზარბაზნით კუროკის წინააღმდეგ გაეშურა. იმ დროს კუროკის თითქმის მთლად თვისი ლაშქარი მდინარე ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირს ჰყავდა გადმოყვანილი—120—125,000 კაცი 300 ზარბაზნით. რადგან ჩვენ 40—45,000 კაცით მეტი გვყავს და 150 ზარბაზანი მეტი გვქონდა, სრული იმედი უნდა გვქონოდა, რომ გავიმარჯვებდით და მტერს ტაიძიხეს მარცხენა ნაპირს გადავასროლდით.

გენერალ კუროკის ლაშქარი ორად იყო გაყოფილი: ჩრდილო რაზმი სამ დივიზიამდე (35,000 კაცი) და სამხრეთისა (90,000 კაცი). ჩრდილო რაზმი იანჭაის მაღნისაკენ გაეშურა მუკდენის გზით, სადაც გენერალ ორლოვის დივიზია დაჰხვდა (12,000 კაცი). გენერალი ორლოვი ბრძოლაში დაიჭრა; მისი დივიზია ვეღარ გაუმაგრდა სამჯერ მეტს მტერს და სადგურ იანტაისკენ დაბრუნდა. გენერალი კუროკი დაედევნა და სადგურის აღებას სცდილობდა, რომ გენერალ კუროპატკინის ლაშქრისათვის გზა გადაეჭრა. გენერალ ორლოვის დივიზიას შტაკელბერგის კორპუსი (20,000) დაეხმარა და მტერი შეაჩერა. ამ დროს გენერალი კუროპატკინიც წამოვიდა და 120,000 კაცით კუროკის ლაშქარზე იერიში მიიტანა სიკვანტუნის მაღლობზე. გენერალ კუროპატკინმა გაიმარჯვა და კუროკი მაღლობიდგან დასძრა, მაგრამ მოულოდნელად გაჩნდა მარშალი ნოძუ 70,000 კაცით. ერთს დღეს ნოძუს ჯარმა გაჩქარებულის ნაბიჯით 30 ვერსი გაიარა თურმე, ღამე მდინარე ტაიძიხეს გადმოვიდა და გენერალ ოქუს ლაშქარს შეუერთდა. იმავე ღამეს ნოძუ და კუროკი 160,000 კაცით გენერალ კუროპატკინის ჯარს (120,000) დაეცა და სიკვანტუნის მაღლობზე იერიში მიიტანა. მაღლობი იაპონელებმა აიღეს და ლიაოიანის ბედიც ამით გადასწყდა. (რ. ვ.).

—

გერმანული გაზეთი „ვოს. ცაიტუნგი" ამბობს, იაპონელები ბოლოს დროს სულ იმასა სცდილობდნენ, რომ ლიაოიანის ჯარი ქვემოდ გაეტყუილებინათ მოწინავე რაზმების იერიშით და ამით ხელი შეეწყოთ გენერალ კუროკისთვის, რომელიც საჩქაროდ წინ უნდა წასულიყო და რუსის ჯარს ზურგში ამოსდგომოდა. გაზეთსა ჰგონია, რომ იაპონელებმა რუსის ჯარს მუკდენის გზა ვერ გადაუჭრეს.

«კრ. ცეიტუნგი»-კი სხვა აზრისაა და რუსის ჯარის მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნია. იმასა ჰგონია, გენერალ კუროპატკინს მეტად დიდი მსხვერპლი დასჭირდება, რომ თავის ლაშქარი მუკდენს მიიყვანოსო. (რ. ვ.).

—

ლონდონის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ 22 აგვისტოს, გუშინ გენერალ კუროპატკინის მთავარ-ბანაკი განხეს იყო 20 ვერსტის მანძილზე ლიაოიანიდგანო. აქ იმედი აქვთ, გენერალ კუროპატკინის ლაშქრის უმეტესი ნაწილი მუკდენისაკენ გზას გაიკაფავს, თუმცა დიდი მსხვერპლი კი დასჭირდება, რადგან ერთად-ერთის გზის გასწვრივ ორთავ მხარეს მაღლობები იაპონელებს უჭირავთო. (რ. ს.).

—

ბერლინში ცნობები მიუღიათ, ერთს კვირაში რუსებმა და იაპონელებმა 60,000 კაცი დაჰკარგეს და ორთავ მხარეს დანაკარგი თითქმის თანაბარიაო. (რ.ს.).

—

ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ, ვითომც გენერალ კუროპატკინმა აცნობა თავის შტაბს, იაპონელები შევაჩერე და ეხლა იმას უნდა ვეცადნეთ, რომ იაპონელების ჯარი გავჭრათ და ჩვენი ლაშქარი მუკდენს მივიყვანოთ, ნახევარიც რომ დავკარგოთო. (ბ. ვ.).

—

ინგლისური გაზეთი «სტანდარდი» ამბობს, დაუჯერებელია ის ამბავი, ვითომც იაპონელებმა მუკდენის გზა გადუჭრეს გენერალ კუროპატკინის ლაშქარს, რომელშიაც 200,000 მეომარიაო. ამისთანა რამე რომ მომხდარიყო, ქვეყანა ალაპარაკდებოდა და ფეხზე დადგებოდა. თუ იაპონელებმა გზის გადასაჭრელად მცირე რაზმები გაგზავნეს, ვერას გახდებიანო. (ბ. ვ.).

# ტფილისი

—

ეს ერთი ხანია ტფილისში, არაქსიანის თეატრში, ეგრედ-წოდებული «დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა» გუნდი ჰმართავს წარმოდგენებს და ისეთ პიესებსა ჰკიდებს ხელს, რომლის წარმოდგენისათვისაც ძალ-ღონე არ შესწევთ. მაგალითად, გასულ შაბათს, 21 აგვისტოს, წარმოადგინეს იბსენის «ექიმი შტოკმანი, ანუ ხალხის მტერი», რომლის წარმოდგენაც ჩვენს გამოცდილ მსახიობთაც კი უჭირთ. ეს საუცხოვო პიესა ისე უხმაწურად იყო წარმოდგენილი, რომ ლაპარაკიც სირცხვილია ამაზედ. ამ ბიჭ-ბუჭების ჯგუფს მეთაურობს ვინმე გიორგი მჭედლიშვილი, რომელიც შილლერის «ყაჩაღებში» ფრაც მოორის როლსა ჰრყვნის. წარმოდგენებს რეჟისორობს ვინმე ვ. ბარველი. ახლა ამ ვაჟბატონებს გამოუცხადებიათ აფიშა, სადაც ჩამოთვლილია შემდეგი პიესები: «ურიელ აკოსტა», გუცკოვისა; «ავაზაკნი» (ალბად ან. ფურცელაძისა); „სამშობლო"—ერისთავისა; „მოღალატე" და... ჰოი საკვირველებავ—«მეფე ლირი». ვილ. შექსპირისა! კარგი იქნება, ამ საზოგადოების გამრყვნელ ვაჟბატონებს აუკრძალავდნენ სრულიად წარმოდგენების გამართვას. ბგონი ეს დ იამატიულ საზოგადოების საქმეა და, თუ ეს უკანასკნელი არ მიაქცევს ყურადღებას, მაშინ მივმართავთ პიესების ავტორ-მთარგმნელთ, რომ ნება არ მისცენ თავიანთ პიესების დამახინჯებისა, რათა ამით თეატრში მოსიარულე საზოგადოებას სრულიად გული არ აუყაროს წარმოდგენების დასწრებაზედ.

*** კოჯორს ახლოს არის კობენის მონასტერი. ამ ჟამად იქ ახლო ეკკლესიას აშენებენ, მაგრამ სრულიად ყურადღებას არ აქცევენ ძველს პატარა ეკკლესიებს. ერთი ძველი ეკკლესია კიდეც დაუქცევიათ და მისი თლილი ქვები გამოუყენებიათ ახალის აშენებისათვის. ასეთივე ბედი მოელის მეორე ძველს პატარა ეკკლესიას,

---

# ფელეტონი

—

## მეზობლები.

დრამა ოთხ მოქმედებად.

(შემდეგი *)

შემოდის კატო გაჯავრებულის სახით.

**ირაკლ.** ეს რა ხმაურობაა, კაცო?

**კატო.** მოურავი დაბრუნდა.

**ირაკლ.** რაო, მერე?

**კატო.** რაღა რაო, კაცი სისხლშია მოსვრილი.

**ირაკლ.** როგორ თუ სისხლში?

**კატო.** უცემიათ.

**ირაკლ.** (ფერ-წასული). როგორ... უცემიათ?!

**კატო.** დიახ, ჩემო ბატონო, დიახ და, აბა, ახლა შენ იცი, როგორც მასახელებ.

**ირაკლ.** მერე და ვინ გაჰბედა ეს, ვინამეთქი? მოურავო, ამოდი მაღლა. (შემობრუნდება სახლში და გაჩერდება ერთერთ დია ფანჯარასთან. გამოჩნდება ცხვირპირ დასისხლიანებული მოურავი, მოადგება ირაკლის პირდაპირ ფანჯარას).

**ირაკლ.** რა ამბავია შენს თავს, კარჰაულა?

**მოურ.** მომკლეს, კნიაზო, იმ ძაღლის კერძებმა, მომკლეს. მთელი გაღმა მხარე, მთელი მანასაანთ გვარი დამეხვია და კინაღამ სული გამაფრთხობინეს.

**ირაკლ.** (დაიყვირებს). მე ვაჩვენებ იმ მანასაშვილებს სეირს, თუ კაცი ვყოფილვარ.

**მოურ.** ტყე სულ გაუჩეხიათ, კნიაზო, არც შიშის, არც ფიცრის და არც ჰიგოს ფულს არ იძლევიან «წადი, უთხარი შენს ბატონს, გვეყო, რაც ტყავი გვაძრეთო».

**კატო.** Это ужасно, это ужъ совсѣмъ не стерпимо, это ужъ кровная обида! მალხაზა კარჰაულო! შეაგროვე და შეაიარაღე ამ წუთს ჩვენი ბიჭები ლეკიან-ჩაჩნიანად. დაავიწყდათ, ვგონებ, ჩვენი მათრახები. კნიაზ ირაკლი მარშანიძე კვლავ გააცნობს თავის თავს.

**ირაკლ.** მოურავო! გასწი და, რაც გიბრძანეს, ეხლავე აღსრულდეს, ეხლავე მეთქი, თორემ გასქდა გული. დაუნიშნე წინამძღვრად ახმედა ლეკი და უბრძანე, არავინ შეიბრალოს, ბრალიან-უბრალო, ქალიან-კაციანად, სულ დააწიოკოს, საუკუნო სახსოვრად დაარბიოს მთელი გაღმა მხარე და მანასაანთ მოთავენიც აქ ჩამომგვაროს ყველანი. (როცა გაათავებს ლაპარაკს, კატოს გაჰხედავს ისეთის სახით, თითქოს ეუბნება: «ხომ კმაყოფილი ხარ ჩემის ბიჭობითა»).

**კატო.** როცა ყოველიფერს მორჩე, ქსენონში ჩაირბინე და იარა შეახვევინე. (ექიმს) რობერტ ადოლფოვიჩ! ფერშალი ხომ იქ დაუხვდება?

**ფ.-ბილ.** როგორ არა, როგორ არა, ბატონო! მორიგი ფერშალი იქ იქმნება. აი კარტიჩკა. (იღებს ჯიბიდან და აძლევს მოურავს. მოურავი მიდის).

**ირაკლ.** Чортъ знаетъ, что такое! ვერ წარმოიდგენ, ლუარსაბ, რა აუტანელი ჰხდება მემამულეთა მდგომარეობა სოფლად! რაც დრო მიდის, მით უფრო ირყვნებიან ეს მუტრუკები!

**ლუარ.** შენი ბრალია, თავიდგანვე არ უნდა გაგეთამამებინა. მდაბიო ხალხს თავაზიანობა სწყინს. (ამ დროს ეზოში ბიჭების ხმაურობა ისმის).

**ირაკლ.** აი, თუ ვანებივრებ. (ხელით ანიშნებს). ის ჩემი ლაშქარია. ერთი საათის შემდეგ აქ მეყოლებიან, და გთხოვ, მათრახი, რომ გაწყდეს, წნელები შემომაშველო.

**ლუკა.** კნიაზო ირაკლი, რატომ არ ეტყვით ძვირფას სტუმარს, თუ ვინ არის გლეხების ბაირაღტარი.

**ლუა.** ოჰო! განა გლეხებს ბაირაღტარიც ჰყავთ?

**ფ.-ბილ.** ჰყავთ და ეგრე?

**ლუა.** ვინ?

**ფ.-ბილ.** კაცი აბეზარი და კლიაუზნიკი.

**კატო.** კაცი, რომლის მარტო დანახვაც კი იწვევს თქვენში აუტანელ სევდასა და ზიზღს.

**ლუა.** ვინ არის ბატონო, ვინ?

**ირაკლ.** შენც იცნობ.

**ლუა.** როგორ... მეც ვიცნობ?

**ირაკლ.** არ გახსოვს სტუდენტი-ფილოლოგი მენაბდიშვილი?

**ლუა.** (შეკრთება ცოტათი და გაიღიმებს იმის სახელის გაგონებაზედ, თითქოს უგზინდა). მენაბდიშვილი? იმას აქ რა უნდა?

**ირაკლ.** ჩემი მეზობელია.

**ლუარსაბი.** შენი მეზობელია? ეხლაც ისეთი თავხედია?

**ირაკლი.** უარესი. Представь себѣ; მე და ის ერთად დავბინავდით სამშობლო სოფელში და მას შემდეგ სულ მკბენს.

**კატო.** გულითაა მოწადინებული ჩვენს კეთილ დღეობას ძირი გამოუთხაროს, მაგრამ ვაი, რომ ჩვენი სჯობნის.

**ლუკა.** ბევრს ეცადა და, რომ არ გაუვიდა ჩვენთან ომი, გუდანაბადს იკიდებს და ცხრა მთას იქით იკარგება.

**ლუა.** ოო, მაშ, ის ვაჟბატონი აქ არის? (თავს გააქან-გამოაქანებს და დაფიქრდება).

**კატო.** ირაკლი, რამე ვიღონოთ იმ ბებერ კოფაკის წინააღმდეგ, თორემ, გააპირა საქმე იმისმა მოთქმა-გოდებამ.

**ლუკა.** მართლა, კნიაზო, მართლა თორემ იმ კუდიანის შიშით პატიოსანს კაცს ვერ გაუვლია შარა-გზაზედ.

**ირაკლი.** კიდევ დაფრატუნებს?

**კატო.** თითქმის ყოველ დღე.

**ირაკლი.** უბრძანე, იმ წიფელას დღესვე წყალში გადაუძახონ და ხელ-ფეხიან მუხას ამ კვირია მოავჭრევინებ ძირში. აი ჩემი რეზოლიუცია.

**ირაკლი.** (ისმის ხმაურობა ეზოში. შეჩერდება.) როგორ... ისინი ჯერ კიდევ არ წასულან?

**კატო.** (გადის აივანზე). ირაკლი, ისინი ყველანი მზად არიან, მაგრამ არც კი ინძრევიან.

**ირაკლი.** რა ღმერთი უწყრებათ. (ადგება და ისიც მიდის აივანზედ.) მოურავო? ახმედ! ლუარსაბ! რა მიზეზია, რომ ისევ აქა ხართ?

**კატო.** რაო? რაო? კნიაჟნამ შეგაჩერათ? (ლუარსაბი გამორკვევა ამის გაგონებაზედ. ისმის ქალის მკაფიო ხმა): «დაბრუნდით, სულელებო! შესდექით მეთქი, გიბრძანებთ, უმეცარნო! დაიშალენით ამ წუთას. უგუნურებო. იცით, რა საქმეზედ გგზავნიან თქვენი ბატონები»? (ამის გაგონებაზედ ლუარსაბი თავს გააქან-გამოაქანებს დიდ-მნიშვნელოვანად).

**ირაკლი.** (ხელებს ჩაიქნევს გაბრაზებული და შემოდის ზალაში კატოსთან ერთად). აქეთ მოდის, ვნახოთ, რას გვეტყვის მათი ბრწყინვალება. (მის ხმის კილოს განკალი ემჩნევა).

### გამოსვლა მეხუთე.

შემოდის ტასო აივნიდან. ყველას საშოდგებიან, უეცრივ ძმასა და რძალს შეაჩერდება სერიოზულის სახის გამომეტყველებით. თავადის ასული ტასო 20 წლისაა. გარეგანის შეხედულობით ნამდვილი მზეთ-უნახავია და აკი ამიტომაც ჟამთვერის მზეთ-უნახავს ეძახიან ყველანი მეტ სახელად. ასე გეგონებოდა, განგებას მარტო ამისთვის მოუცდია, რომ ყოველივე სიტურფე უხვად ურგუნებია მისთვისაო. აცვია ევროპიული კოხტა ტანისამოსი; ხმა მისი წკრიალა და შვენიერია. სიარული, მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი—გაბედული, მხოლოდ ყველაფერში ზომიერებაა დაცული. სახეთვი აქვს ქალური სინაზეკ, გულკეთილობაც და იმავ დროს, რისხვაცა და მამა-პაპათაგან გადმოსცემი ამაყი სულიც, რომელსაც იქ ხმარობს, სადაც მისს პირდაპირებს ვინმე მეტიჩარა ეგვლახად წაეფოთურება.

**ირაკლი.** რას მივაწერო შენი საქციელი?

**ტასო.** თქვენს უსამართლო განკარგულებას.

**ირაკლი.** ჩვენი განკარგულება უსამართლოა და მანასაანთ მეტიჩრობა სამართლიანი?

**ტასო.** მოურავი სტყუის. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ რამდენჯერმე ახდევინებს გლეხ-კაცობას ხვედრ ფულსა.

**კატო.** კაცი 25 წელიწადია ამ ოჯახს ერთგულად ემსახურება და რაღა ეხლა სტყუის?

**ტასო.** რა იცით, რომ ამ ხნის განმავლობაში სულ არა სტყუოდა.

**ირაკლი.** მაშასადამე, ჩვენს მოურავებთან ერთად ჩვენცა ვსტყუოდით, შენის ფიქრით, განა?

**ტასო.** ჰკითხეთ თქვენს თავს, დაფიქრდით... შეიძლება მაგრეც იყოს.

**ირაკლი.** არ ვიცი, სწორედ, რა გზას მივმართო. შენის მეოხებით ამ წელიწადში ეს მეათე დათმობაა და ვფიქრობ, მეთერთმეტეჯერ კი ვერ გაიმარჯვებ.

**კატო.** ამ გვარი სისუსტე ხასიათისა მემამულის პრესტიჟს სულ ერთიანად ანადგურებს.

**ტასო.** ნუ გინდათ ის პრესტიჟი, რომელიც პატიოსნებას ეწინააღმდეგება.

*) იხ. ივერ. № 198.

რომელიც ჯერ ისევ მთელია. ბერ-მონაზონნი, რომელნიც აშენებენ ახალს ეკლესიას, იღებენ ძველს ქვებს, ხშირად წარწერიანებს, სთლიან ხელ-ახლად, წარწერას სპობენ და ისე ახმარებენ. ამ გარემოებას მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და მიჰმართა ჯეროვანს ღონისძიებას, რომ აღკრძალულ იქმნას ასე უყურადღებოდ მოპყრობა ძველ საარქეოლოგიო ნაშთებისა. მთავრობამ ეს ამბავი აუწყა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების ტფილისის განყოფილებასაც.

*** «ნოვ. ობოზრ.»-ს ბათუმიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ პარასკევს, 26 აგვისტოს, ვიღასაც მსუბუქად დაუჭრია კისერში ტყვიით ა. ი. მანთაშევის ქარხნის გამგე ბ-ნი არუთინოვი.

*** კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ დედოფლის წყაროსა, ტფილის-გუმბრისა და სოფ. კორდის გზები, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, საძაგელს მდგომარეობაშიაო, და სთხოვს, დაუყოვნებლივ შეაკეთებინოს ეს გზები და შეატყობინოს, როდის შეუდგებიან ხსენებულ გზების შესაკეთებლად მუშაობას.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორმა გამოუგზავნა ტფილისის გუბერნატორს კორექტურის ფურცლები „შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყების ყველა გუბერნიებსა, ოლქებსა და თემებში მოსამსახურე მოხელეთა სიისა“, რომელსაც ხსენებულ სამინისტროს საზოგადო საქმეთა დეპარტამენტი ჰბეჭდავს, დ სთხოვს, რომ ეს ფურცლები ფრთხილად იქმნას გადათვალიერებულ-შესწორებული. დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი სთხოვს ამასთანავე გუბერნატორს, რომ ამ წლის 1-ლ ოკდომბრამდე დაუბრუნოს გასწორებული ფურცლები და თან ის ცნობაც, თუ რამდენი ეგზემპლიარია საჭირო ტფილისის გუბერნიაში, რომ გამოვგზავნოთო.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის განკარგულებით, გუბერნატორმა მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ვაჭართა საზოგადოებას და ხელოსანთა და მოქალაქეთა გამგეობათ, წარუდგინონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა თანხა ჰქონდათ საქველ-მოქმედო საქმეებისათვის 1902 წლამდე, ვისთვის რა შემწეობა აღმოუჩენიათ, აქვთ თუ არა უძრავი ქონება და სხვა.

*** 26 აგვისტოს დასრულდა კრებები ტფილისის გუბერნიის ორკლასიან სკოლების ზედამხედველებისა. კრების დასრულების დღეს 20-მა ზედამხედველმა დაათვალიერა სააბრეშუმო სადგური.

*** ბელგიის უსხელო საზოგადოების დირექტორმა 25 აგვისტოს წარუდგინა საგუბერნიო სამმართველოს საადმინებლო განყოფილებას განსახილველად მაწის ქვეშ კაბელების გაყვანის სავალდებულო წესების ზირი.

*** როგორც მკითხველებმა იციან, ბელგიის უსხელო საზოგადოებას განზრახვა ტილი აქვს, დიდუბემდე რკინის გზა გაიყვანოს. ამას წინად საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, იშუამდგომლოს მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ მუშტაიდის ბაღში საზოგადოებას გზის გაყვანის ნება მიეცეს. გუშინ-წინ ამ საქმის გამო ტფილ. მცხოვრებმა ა. თუთაევმა ქალაქის გამგეობას განცხადება გადასცა. თუთაევი სწერს, რომ დიდუბისათვის უფრო უკეთესი და სასარგებლო იქმნება რკინის გზა გაყვანილ იქმნას ელისაბედის ქუჩით, რომელიც შუა დიდუბეზე გაივლისო.

*** 25 აგვისტოს კახეთის დამართზე დიტრიხის ღუდის დამტარებელმა იოსებ დ. კერვალიშვილმა, მთვრალმა, ცხენები დაატაკა ქუჩაში მიმავალ ფეხ-მძიმე დედა-კაცს გ. ქიტოევისას. კერვალიშვილი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

*** ზოლიცის მე-9 ნაწილში, 25 აგვისტოს, ტფილისის მცხოვრებმა მარიამ ფერშაჯიანმა განაცხადა, რომ «ავრორას» სასტუმროს მსახური ეფემია დეროფი თავის $2^1/_2$ წლის პატარა ქალს უვლელ დღე საშინლად სტანჯავსო. ექიმების შემოწმებით, ქალი ცემით სულ დალალებული აღმოჩნდა. დამნაშავე პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

*** 26 აგვისტოდგან უკვე შეუდგნენ ბარიათინსკის ქუჩიდგან დაწყებული გოლოვკინის პროსპექტის მოკირწყლას «რაზგონნაია» ფოსტადმდე ოსმალეთიდგან მიღებულის სპეციალური ქვით.

## საქართველოს ამბავი

სეკდემბრის პირველ რიცხვებში გაგრაში მოელიან მისს უმაღლესობას პრინცს ა. პ. ოლდენბურგელსა და იუსტიციის მინისტრს ნ. ვ. მურავიოვს.

დაბა ხონიდგან გვატყობინებენ, რომ იქ ძლიერ გაძვირებულა სიმინდი. თურმე ფუთი 1 მან. 40 კაპეიკად ჰფასობს. მესამე ხარისხის პური გირვანქა თურმე შაურად იყიდება. ამ სიძვირეს კიდევ გავუძლებდით, რომ სასყიდლად ვშოულობდეთო,—გვწერს კორესპონდენტი. ამით მეფურნეებმა, რასაკვირველია, დრო იშოვნეს და, როგორც უნდათ, ისე ჰყიდიან. მოსალოდნელია, რომ გირვანქა პური ორი შაურიც გახდეს, მით უფრო, რომ დამშლელი არავინაა. საკვირველია, რატომ ყურადღებას არ აქცევს ამ უსამართლობას ადგილობრივი ბოქაული?

იქიდგანვე გვწერენ: «ამას წინად ხონშიმოასვენეს პიატიგორსკიდგან რომანოზ ბახტაძის გვამი, რომლის დასაფლავებასაც აურებელი ხალხი დაესწრო. განსვენებულს რამდენიმე ასი ფუთი სიმინდი დაუტოვებია ხონელ ღარიბ-ღატაკთათვის დასარიგებლად, რაც სწორედ დიდი ღვთის წყალობაა ამისთანა უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ ხონელ ღარიბთათვის. სიმინდი ჩააბარეს ხონის სასოფლო კანცელარიას, რომელიც, იმედია, ჩქარა დანიშნულებისამებრ დაარიგებს ამ ზეციურს მანანას».

გორის მამასახლისის მოადგილემ ბ-ნმა საბაევმა აცნობა საგუბერნიო სამმართველოს საადმინებლო განყოფილებას, რომ, 23 აგვისტოს დათვალიერე მდინარე ფშანის ჯებირი და აღმოჩნდა, რომ თუ დროზედ არ შეკეთდა, გადახეთქს და ამირალოვის ბაღს წალეკავსო. ამიტომ ბ-ნი საბაევი სთხოვს საგუბერნიო გამგეობას, რაიმე ღონისძიება მიიღეთ, რომ უბედურება არ დატრიალდეს და დროზედ შეაკეთეთ მდ. ფშანის ჯებირიო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 აგვისტო.

**ტოკიო**, 25 აგვისტო. (რეიტერი). გაზეთ «კაკუმინის» გაუგია, რომ იაპონიის ლაშქარმა აიღო სიმაღლეები ხეიენტანთან და დაიჭირა მთელი ადგილი იანტაიდან ნახშირის მადნებამდე. იაპონელთაგან რუსების დევნას აფერხებს მაღალი გაოლიანი.

გაზეთი «ნიცი-ნიცი» ჰფიქრობს, იაპონელთა ზარალი ბევრით მეტია, ვიდრე რუსებისაო.

მიკადომ მიჰმართა ეპისტოლეთი ლაშქარს და მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება, თუმცა დიდი გაჭირვება კი შეხვდათ. იმპერატორის ეპისტოლეში ნათქვამია, რომ ომის გათავება ჯერ შორს არისო. მიკადო არიგებს ჯარს, ფხიზლად იყვნენ, ყურადღებითა და მოთმინებითაო.

ოფიციალურს გაზეთში გამოქვეყნებულია დადგენილებანი საერო მილიციის დაფუძნების შესახებ.

ხმები, ვითომ რუსები სინმინტინს მიადგნენო, ტყუილია. რუსები რომ სიმინტინისაკენ წასულიყვნენ, იმათ წინააღმდეგობას გაუწევდნენ ხუნხუზები, რომელნიც იქით ელოდებიან.

**ბერლინი**, 26 აგვისტო. «ნაციონალ ცაიტუნგ»-ში დაბეჭდილია წერილი ამ გაზეთის სამხედრო თანამშრომლისა, რომელიც კუროპატკინის უკან დაწევის შესახებ ამბობს: «თუ რუსების ლაშქრის ფრონტმა, კუროპატკინისაგან იაპონელთა წინააღმდეგ საბრძოლველად დაწყობილმა, ოთხის დღის ბრძოლაში უკაცლეროდ იმისთანა წინააღმდეგობა გაუწია მტერს, რომ მთელმა მანჯურიის ჯარმა შეიძლო მუკდენისაკენ წასვლა, სჩანს, ეს მოხერხება ერთ უდიდეს სამხედრო მოხერხებად ჩაითვლება, რომლითაც რუსეთის ლაშქარმა უნდა იამაყოსო».

**ჩიფუ**, 26 აგვისტო. სადამოთი შორიდგან ზარბაზნის სროლა ისმოდა. პორტ-არტურთან გამოვლილი გემი კი იუწყება, რომ ეს ზარბაზნის სროლა არ იყოო.

«ნოვი კრაი» 18 აგვისტოს თარიღით იუწყება ცალკ-ცალკე ამბებს 17 და 18 აგვისტოს ბრძოლისას რუსის ჯარის მარჯვენა ფრთაზე. 17 აგვისტოს იაპონელებს დაუწყეს სროლა სიმაგრიდგან № 3 ფორტს B. ციხის ზარბაზნებს ესროდნენ განსაკუთრებით სერებს, რომელსაც ეძახიან «პატარა არწივის ბუდესაო». იაპონელებმა ჩინურს სახლებს ზანები ახადეს და ჩინებული სიმაგრეები გააკეთეს. სადამოს 9 საათზე რუსის პოლკმა უეცრივ მიიტანა იერიში იაპონიის სანგრებზედ. საქმე რაკი ხიშტზე მიდგა, იაპონელებმა უკან დაიწიეს № 2 სიმაგრემდე. რუსები მეტად ვეღარ წავიდნენ წინ, რადგან ძლიერ ესროდნენ. დანარჩენი ღამე მშვიდობიანად გაატარეს პოზიციებზე. დასავლეთ ფრონტზე რუსის არტილერიამ დაახვეინა იაპონელთა მცირე რაზმსა. იაპონიის ნაღმოსანი ესროდა პროჟექტორს «ვეფხის კუდზე», მაგრამ რუსის ბატარეამ უკან დაახევინა, მგონი, ზარალით.

**შანხაი**, 26 აგვისტო. (რეიტერი). ჩინელების სიტყვით, რუსები ათას ჩინელს ამუშავებენ ტელინში სიმაგრეების ასაგებად.

**ნიუ-იორკი**, 26 აგვისტ. (რეიტ.). ამერიკულ ჟურნალის კორესპონდენტი დეპეშით აღწერს ლიაოიანთან მომხდარ ბრძოლას: დეპეშაში ნათქვამია: «მე ლიაოიანში ვიყავი ხუთშაბათს, საცა იაპონელებმა ყუმბარების სროლა დაიწყეს. ნიშანში საუცხოვოდ იღებდნენ. როცა ქუჩაზე დაჭრილებს ჰკრებდნენ, მოჰკლეს ერთი სათნოების და და შვიდი დაიჭრა მაშინ, როცა სადგურს ახლო დაჭრილებს წყლულებს უხვევდნენ. სათნოების დებმა გამოიჩინეს საოცარი გმირობა: ისინი ტანსაცმელს ჰხევდნენ და ნაჭრებს შესახვევად ხმარობდნენ; თვით რამდენიმე დაჭრილი გამოიყვანეს. იმისთანა უწყალო ცეცხლი, როგორც იყო ცეცხლი იაპონიის არტილერიისა, თავის დღეში არ უნახავს არც ერთს სამხედრო კრიტიკოსსაო. ერთის პოზიციიდგან და ერთს წუთში მე დავთვალე 70 გამოსროლილი ყუმბარა.

**ომსკი**. აკმოლინის ოლქში, ყაზახთა სადგურ კოროტკულში, ძმანი ბრანდები აშენებენ ქარხანას ხორცის კონსერვების შესამზადებლად. ქარხანა დაიწყებს მოქმედებას 1-ლ ოკდომბერსა და მანჯურიის ლაშქრისათვის დაამზადებს 200 ათას ფუთს კონსერვს.

**პეტერბურგი**. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს იმპერატორებით უდიდებულესობასთან, 25 აგვისტოს თარიღით: «25 აგვისტოს ბრძოლა, გარდა მცირე შეტაკებისა, არა ყოფილა. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას».

უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის ლიაპუნოვისა მისს იმპერატორებით უდიდებულესობასთან, 25 აგვისტოს თარიღით: „უქვეშევრდომილესად მოვართმევ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას კეთილგანსახილველად დამატებით მოხსენებას კორსაკოვის სადგომის ჯართა უფროსისას იმის შესახებ, თუ რუსის რაზმმა 24 აგვისტოს როგორ მოიგერა იაპონელთა ცდა ჩაძირულ კრეისერ „ნოვიკის“ აფეთქებისა. დილის ექვს საათზე შეჰნიშნეს ზღვაზე ორის გემის კვამლი, რის გამოც ჩვენმა რაზმმა პოზიცია დაიჭირა. როცა გემები კორსაკოვს რვა ვერსზე მოუახლოვდნენ, იცნეს, რომ იაპონიის საბარგო გემები იყო. იქიდგან ჩამოუშვეს ორი ორთქლმავალი გემ-ნავი, რომლებიც «ნოვიკისაკენ» წამოვიდნენ და 10 საათსა და 15 წუთზე კიდეც მოვიდნენ. როდესაც შეჰხიშნეს, რომ „ნოვიკის“ ბანზე მეზღვაურთ რაღაც მუშაობა დაიწყეს, რაზმის უფროსმა უბრძანა, თოფი ესროლეთო. ეჭვს გარეშე, სროლა ისე სწორე და ნამდვილი იყო, რომ მტერმა სისრულეში ვერ მოიყვანა თვისი განზრახვა და თავი დაანება «ნოვიკსა». გემნავები წავიდნენ და ჩვენები ესროდნენ თოფს იმ დრომდე, სანამ ტყვია მიუწვდებოდა. მტერმაც გვესროლა თოფი, მაგრამ არავითარი ზარალი არ მოუყენებია. 13 საათსა და 45 წუთზე გემებმა გამოიბეს გემ-ნავები და წავიდნენ. 1 საათსა და 35 წუთზე რაზმის უფროსი

---

**ირაკლი**. როგორ ჰფიქრობ: ავაზაკობას, ქურდობას არ უნდა დათრგუნვა?

**ტასო**. ისინი ავაზაკები და ქურდები არ არიან... მე მინდა განათლებულ ძმარძლის სახელი დავიხსნა გათახსირებისაგან.

**ირაკლი**. რას ნიშნავს ესა?

**ტასო**. იმას ჰნიშნავს, რომ თქვენ მაგონებთ ძველის დროის ინკვიზიციას.

**ირაკლი**. მე, მე... შენი უნივერსანტი ძმა, ირაკლი მარშანიძე, ინკვიზიტორი ვარ?

**ტასო**. (მტკიცედ). დიახ, ჩემო უნივერსანტო ძმა, ერთ დროს წმინდა იდეალებით გამსჭვალული, ბეჩავის ხალხის სამსახურად მოწოდებული, დღეს ხალხის სულის ამომხდელი გამხდარა! ვაი, სირცხვილო, ვაი განათლებავ, ვაი ჩემო დაკარგულო იმედებო!

**ლუკა**. კნიაჟნა! თქვენ ჯერ გამოუცდელი ბრძანდებით და არ იცნობთ გლეხკაცის ლორ-მუცლობას.

**ტასო**. თუ სიმშილ-წყურვილი ლორ-მუცლობაა, გეთანხმებით. ნეტა ვიცოდე, ბატონო სუთიძე, თქვენ რაღა დიდ-კაცად მოგაქვთ თავი; თქვენც ხომ გლეხკაცთაგანი ხართ? (ლუკას შერცხვება და უკან დაიწევს).

**ლუკა**. არ მეგონა, თუ ამას დავიმსახურებდი კეთილშობილ ოჯახიშვილისაგან.

**ტასო**. კარგად უნდა იცოდეთ, რომ სიმართლეს გეუბნებით. ჭირივით მეჯავრება და მასთან მებრალება გლეხი, გამოხვეული თავადის ქერქში.

**ფონ-ბილ**. მშვენიერო კნიაჟნა! დამშვიდდით. თქვენ დღეს ნერვები მოგშლიათ და, ნება მიბოძეთ, დაგეხმაროთ. გირჩევთ, აგრე ღრმად ნუ ჩაიყურყუმელავებთ პროზის მორევში; თქვენ არა ხართ მოვლენილი ამ ქვეყნად მაგისათვის.

**ტასო**. რასაკვირველია, ცუდად გავხდები, როცა განათლებული მემამულენი და ექიმები ასე სამარცხვინოდ ასრულებენ ჭეშმარიტ მოქალაქის მოვალეობას.

**ფონ-ბილ**. ექიმები აქ რა შუაშია? ან რომელ ექიმზე ბრძანებთ?

**ტასო**. აი თუნდ თქვენზე.

**ფონ-ბილ**. მე რაღა დავაშავე, ბატონო?

**ტასო**. ის დააშავეთ, რომ ავადმყოფნი არც გიყვართ და არც გებრალებათ.

**ფონ-ბილ**. მე თქვენ მარცხვენთ, კნიაჟნა, დაამტკიცეთ, დაასაბუთეთ რითიმე თქვენი ბრალდება.

**ტასო**. დავამტკიცო ის, რომ თქვენის ანგარიშიანობის წყალობით დღეს ქვრივ ოხერმა დედაკაცმა ერთად ერთი ოჯახის მარჩენალი შვილი დაჰკარგა? განა ყველაფერში სასყიდელს უნდა თხოულობდეს თქვენის ხელობის კაცი?

**ფონ-ბილ**. მე თუ არ მოგწონვართ, შეგიძლიანთ ლოთ გრუშნევსკის მიმართოთ!

**ტასო**. რა უფლების ძალით გადაჰყარეთ იმ პატივცემულ მოხუცის წამლები და რეცეპტები?

**ფონ-ბილ**. იქ, საცა დროთა ვითარებისაგან გაცვეთილი გონება მოხუცის ამხანაგისა სუსტობს, ახალგაზდამ უნდაააფრიალოს მოქმედების დროშა.

**ტასო**. ძლივს... გამოირკვა თქვენი ფიზიონომია. ბატონებო, გაფრთხილებთ, ხალხს მეტის პატივისცემით მოეპყარით, თორემ, დღეს თუ ხვალ, ყველანი კისერს მოიტეხთ.

**კატო**. თუ შეიძლებოდეს, სტუმრებს ნუ გვილანძღავთ и не выставлять личность какого-то захудалаго врага передъ благородными людьми.

**ტასო**. შენ სუ, შენ სუ!! გიცნობ, რაც შვილი ბრძანდები.

**ირაკლი**. ეს-ღა მაკლდა სწორედ, რომ სტუმარ-მასპინძლიანად ყველის ენები ჩაგვაგდებინოს მუცელში.

**ტასო**. დიაღ, ჩემო ძმაო, დიაღ... სანამ ტასო მარშანიძე ჯერ კიდევ არ გასცილებია ამ ოჯახის ზღუდეს, იცოდე, სიმართლის ხმა ერთ წუთსაც არ მოგასვენებთ. მაშ, აგრე, დღეიდგან ჩვენ პირობასა ვსდებთ, რომ რაც ზარალი მოგივა, ჩემის მზითვიდგან გამოიქვითება. (გადის მარჯვნივ გზის კარებში). და თქვენ, ექიმო, დიოკნისში წასასვლელად ნუ შესწუხდებით. ქვეყანაზე ჯერ კიდევ არ გაწყვეტილან საწყალთა შემბრალე ადამიანები.

**კატო**. (ტუჩის კვრით). კარგი ამბავია, შენ ნუ მომიკვდები. (ირაკლი ჰგმინავს და ტასოს შემდეგ ისიც აივანზედ გავა და იქიდგან ძირს—ეზოში).

**ფონ-ბილ**. ნახვამდის, კნეინა, ლუარსაბ დიმიტრიჩ, ბ-ნო ლუკა.

**კატო**. რობერტ ადოლფოვიჩ! თქვენ საით, დარჩით სადილად.

**ფონ-ბილ**. ნურას უკაცრავად, კნეინა, თუ ამას შემდეგ თქვენს ოჯახში ფეხი არ შემოვდგა. ნამეტნავად მანამდე, სანამ თქვენი მული აქა ბრძანდება.

**კატო**. (ნერვიულად და ამაყად). ჩემი მული აქ რა შუაშია. ამ ოჯახის პატრონ-ბატონი და მბრძანებელი კნეინა კატო და მისი ქმარია.

**ფ.-ბილლერ**. ღმერთმა ჰქნას... ვნახოთ. (თავს უკრავს მდაბლად და გადის).

**ლუკა**. მეც გიახლებით კნეინა.

**კატო**. შენ მაინც რაღას ეჩქარები!

**ლუკა**. დრო არა მაქვს, სადამოზედ გნახავთ.

**კატო**. მაშ, რა გაეწყობა, ისევ მე მოვითმენ. იყავი იქ? ინახულე ისა?

**ლუკა**. ვიყავ და (თვალს ჩაუკრავს) ამ დღეებში გააქანებენ (მერე მივა ლუარსაბთან, ხელს ჩამოართმევს და ეტყვის). ბ-ნო ლუარსაბ! მე მიხვედრილი ვარ, რაშიაც არის საქმე და გაგამარჯვებინოსთ ღმერთმა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნება, თუ ამ ღირსეულ სარდლის ოჯახს (დენერლის სურათზე მიუთითებს) თქვენსაებრ ყოვლის მხრით შემკული კაცი დაუმოყვრდება. კარგი მეუღლე გეყოლებათ, თუ კი თქვენს ყაიდაზე ჩამოჰქნით და ცოტათი გააშლაშინებთ. (გადის ხითხითით).

**ლუა**. (ნაზის ღიმილით). თქვენ, ბატონო, ლუკა, კუდიანი ყოფილხართ, კუდიანი! ხა-ხა-ხა! ნახვამდის, ნახვამდის. (წამოწევება ტახტზე. კატო ლუკას გააცილებს და პატარა პაუზის შემდეგ შემოდის, მიირბენს მასთან და ჩაჰკოცნის).

**ლუა**. ირაკლი სად არის, ცაცუნი?

**კატო**. ბაღში. ბოლთასა სცემს.

**ლუა**. კატია, იცი საქმე რაშია?

**კატო**. არა.

**ლუა**. კნიაჟნას ვიღაც უყვარს.

**კატო**. არც არავინ არ უყვარს, მხოლოდ შენ კი შეგიყვარებს.

**ლუა**. მე კი, მე?

**კატო**. შენ კი ვერ გაბედავ... იმას შენ ეყვარები, შენ კი—მე.

**ლუა**. შენ?

**კატო**. ისევ შენ.

**ლუა**. მაშ! მე ორივეს მხრიდგან მოგებული ვარ.

**კატო**. როგორცა სჩანს, დღეს ვერ მოახერხებ თქმას?

**ლუა**. რა დამიშლის?

**კატო**. ვერა ჰხედავ, რა გუნებაზედ არის? ოჰ, ლუა, ეგ სულ შენის ხათრისთვის, თორემ ამოდენა ლაპარაკს არ გავაბედვინებდი.

**ლუა**. გასათხოვარ ქალების სიკაპასე ბავშვების ტიტინს მაგონებს მხოლოდ და სიცილის მეტს არას იწვევს ჩემში.

**კატო**. მაშ, დღეს...

**ლუა**. სწორედ, და თუ დღესაც უარი მითხრა, დარწმუნებული იყავ, ამ არემარეში ვიღაცა ჰპატრონობს მაგის გულს.

**კატო**. ვინ იქნება?

**ლუა**. მაგის მიჯნური თუ იქნება, ისევ ის თქვენი მეზობელი მენაბდიშვილი.

**კატო**. (შეკრთება და წამოხტება გაცოფებული). ლუა, შენ გამაგიჟებ დღეს. არა, არა, ეს დაუჯერებელია, შეუძლებელია, ღმერთმა ნუ ჰქმნას, თორემ მაგის ატანას ვერ შევიძლებ. სისხლის ღვრა მოხდება, იცოდე, სისხლის ღვრა. მე და ირაკლი და მთელი ჩვენი ნათესაობა თავს შევაკლავთ. როგორ გავიგოთ ეხლა ნამდვილი? ოჰ, შე ბოროტო, როგორ მამწამლე, როგორ მამწამლე. ოჰ, როგორი ცნობის მოყვარეობა აღმეძრა, ოჰ, როგორ მინდა ნამდვილის გაგება და ისიც დღესვე, ეხლავ, ამ წუთში. (შედგება). იცი, სულიკო, რა გითხრა?

**ლუა**. აბა, რა?

**კატო**. ხომ იცნობდი იმას სტუდენტობის დროს?

**ლუა**. მერე?

**კატო**. მოდი, ამაღამ, ან ხვალ ეწვიე სახლში და როგორმე გამოსტეხე. შენ ხომ ჩემი ლუა ხარ, ჩემი დიპლომატი და პოლიტიკოსი ლუა?! (აკოცებს).

**ლუა**. ჩვენი აზრები შეერთდა. მეც მაგას ვფიქრობდი, სწორედ. გადაწყდა. ვეწვევი და, თუ კაცი ვყოფილვარ, დავსტყუებ ყოველსავე.

**კატო**. მოიცა! (მივა და ყურს ადებს კარებს). ფეხის ხმა და კაბის შრიალი ისმის. ის არის, ის. აბა, ეხლა გაგეცლები. ვინძლო გაიმარჯვო. (გახტება მარცხნივ).

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

აფიცრებით მივიდა «ნოვიკთან», სადაც ნახეს ერთი თოფი და მავთულები ასაფეთქებლად ჩაწყობილ ნაღმებისა. ნაღმის ამოღების მაშინვე მივყავით ხელი. ჯერ 9 ნაღმი ამოვიღეთ, რომელიც კრეისერის სხვა და სხვა ადგილს ჩაედო.

27 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა წყნარ-ოკეანის მეორე ესკადრა კრონშტადტის დიდს რეიდზედ.

**ჩეი-ფაი-ჩეი**, 26 აგვისტო. (რეიტერი). ზღვაში ღამე სროლა ისმოდა.

**პიტსბური**, 26 აგვისტო. (რეიტერი). იაპონიამ კარნეგის ფოლადის ჩამომსხმელ ქარხანას შეუკვეთა 7,500 ტონნი ფოლადის ნიკელგადაკრული პლიტები ჯავშნიან გემებისათვის.

**ლონდონი**, 26 აგვისტო. (რეიტერი). როგორც გოუბანციდგან იუწყებიან, კუროპატკინმა გუშინ მიაღწია მუკდენამდე, რომელიც სამოქალაქო მოხელეთ მიუტოვებიათ. ლიაოიანიდგან ჩრდილოეთად კიდევ იბრძვიან.

ამერიკისა და ინგლისის კორესპონდენტები უჩივიან იაპონელებს, რომელთაც ყველა არა იაპონელები ჯაშუშებად მიაჩნიათ.

**ჩიფუ.** (რეიტერი). ჩინელები, რომელნიც 23 აგვისტოს გამოსულან პორტ-არტურიდან, იუწყებიან, 21 აგვისტოს დიდი ბრძოლა იყოო; იაპონელებმა იერიში მიიტანეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოზიციებზე; რუსებმა ახლოს მიუშვეს, აუტეხეს სროლა და იაპონელებს უკან დააწევინეს სამის საათის ბრძოლის შემდეგაო.

**ჩიფუ**, 26 აგვისტო. (რეიტერი). დალნის იაპონელნი, რომელთაც, მგონი, კარგად იციან საქმის გარემოება, ამბობენ, პორტ-არტურის ლაშქარი ახალის იერიშისათვის ემზადებაო. 28 აგვისტოს იაპონელები ჩიფუდან გაჰგზავნიან პორტ-არტურს 70 ათას ხის ქერქის ტომრებსა და სცდილობენ კიდევ იშოვონ 60 ათასი. ჰფიქრობენ, ეს ტომრები ქვიშით აავსონ და მერე ამით ამოავსონ ის ხევი, რომელიც იფარავს რუსის მარჯვენა ფრთას.

**ტოკიო**, 26 აგვისტო. (რეიტერი). ნამდვილის გამოანგარიშებით, ლიაოიანთან რუსის ლაშქარი შესდგებოდა 184 ქვეითა ჯარის ბატალიონისაგან და 128 ცხენოსან ჯარის ესკადრონისაგან, 572 ზარბაზნით.

**ირკუტსკი.** აქ მოვიდა გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი. იყო თათბირი ბაიკალის გარშემო გზის გაკეთების შესახებ.

**ლონდონი**, 26 აგვისტო. (ბერლინით). რუსებმა პორტ-არტურთან ახალის კონსტრუქციის ფორტები ააგეს. მცოდნე კაცნი ამბობენ, პორტ-არტურს ვერ აიღებენ, თუ სურსათი აქვთო. გემმა, რომელმაც ალყა გაარღვია, ფქვილს გარდა მოიტანა აგრეთვე სამხედრო მასალა. იაპონელთ ზღვიდან ალყა გააძლიერეს. ორი ნავი, სანოვაგით სავსე, ჩასძირეს.

**ჩიფუ**, 26 აგვისტო. (ბერლინით). იაპონიაში შეუწყვეტლივ სწარმოებს სამხედრო სამზადისი. 19 აგვისტოდგან შეჩერდა რკინის გზით მიმოსვლა ყველა რკინის გზებზე და გადაჰყავთ მხოლოდ 40 ათასი კაცი სამხედრო ნავსადგურებში კობესა, სასებოსა, გიროშიმსა და სიმონოსეკში. ხმაა, რომ ვლადივოსტოკის წინააღმდეგ ექსპედიცია მზადდებაო.

**სტამბოლი.** ეჭვი არ არის, საქმეთა მდგომარეობა ბითლისისა, ვანისა და ერზერუმის ვილაიეტებში უკან-უკან მიდის, მაგრამ მაინც ისე საშიში არ არის, როგორცა ჰგონიათ. პორტამ სხვა-და-სხვა დიპლომატთაგან რჩევა მიიღო, ილონოს რამე, რომ, რაც შეიძლება მალე, ჩააქროს ჯუფთთა უწესოებანი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ვილნოსა, კოვნისა და გროდნოს გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად, აგრეთვე დარჩება გენერალ-ადიუტანტად.

28 აგვისტოს, გენერალ-ადმირალის თანადასწრებით, ახალ საადმირალოში საძირკველს ჩაჰყრიან საგზირო ნავის «ხივინეცისას, და წყალში ჩაუშვებენ ნაღმიან ტრანსპორტს «ვოლგას».

**ფრანკფურტი მაინისა.** პორტამ აუწყა თავის ელჩებს, რომ, თუ დიდმა სახელმწიფოებმა საბერძნეთის ბატონიშვილის გიორგის სურვილი აღასრულეს და კრიტის საბერძნეთთან შეერთებაზედ დასთანხმდნენ, ეს status quo-ს ცხადი დარღვევა იქმნება და შედეგიც უნდა მოჰყვეს ამას, პასუხისგებას არა ვკისრულობ. პორტამ ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობამ დაარწმუნა, რომ განზრახვა არა გვაქვს, კრიტის სახელმწიფო წეს-წყობილებაში რაიმე ცვლილება მოვახდინოთო.

**ლონდონი**, 26 აგვისტო, (რეიტერი). გენერალ კუროკის უმთავრესი ბანაკი. 17 აგვისტოს ლიაოიანთან საშინელი ბრძოლა ჰქონდათ ორივე მეტოქის არტილერიებს; ბრძოლა დაიწყო განთიადისას და გაგრძელდა დაბნელებამდე. ეს ბრძოლა სამხედრო ისტორიის ერთ უმთავრეს ბრძოლათაგანია. იაპონელთა შეერთებულმა ლაშქრებმა, გარდა კუროკის ლაშქრის ერთის ნაწილისა, ბატარეიებიდგან სროლა დაუწყეს კუროპატკინის ლაშქარს. 12 საათის განმავლობაში რამდენიმე ასი ზარბაზანი სეტყვასავით ისროდა ყუმბარებს შეუჩერებლივ, ასე გასინჯეთ, ღამეც კი; თუმცა საშინელი წვიმა და ჰექა-ქუხილი იყო, მაგრამ მაინც ბრძოლა არ შეწყვეტილა. საშუალო რიცხვით, ერთ წუთში 60 ყუმბარას ისროდნენ. რუსების ყუმბარები იაპონელების წინ სერებზედ სქდებოდა. რუსთა ბატარეიები გამაგრებული იყო ლიაოიანის სამხრეთ-აღმოსავლეთად, ზოგიც კიდევ ქალაქიდგან ხუთის მილის მანძილზედ იდგა. რამდენიმე ბატარეია ცალკე იდგა დასავლეთად, სერების გასწვრივ, საიდგანაც იწევდა რუსთა მარჯვენა ფრთა. სერების მეორე რიგზედ, ქალაქს გარედ, მდინარის აღმოსავლეთ ნაპირის პირდაპირ, გამართული იყო ის ბატარეია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა რკინის გზის ლიანდაგისა და არიერგარდის დაცვა. იაპონელთა არტილერია იდგა უსწორ-მასწორო სერებზედ 20 მილის სიგრძეზედ. რამდენსამე ადგილს ისეთი ციცაბო კლდეები და ქედები იყო, რომ ვერ გამოიცნობდით, სად ნამდვილად რამდენი ჯარი იყო. რუსების ზარბაზნები კლდეებზედ იყო მიმაგრებული და ამგვარად ორი-სამი ბატარეია ერთი მეორეზედ იყო მიდგმული. რუსებს საუცხოვო პოზიციები ეჭირათ და იმათ პოზიციებს მხოლოდ თოფის სროლის სინათლით თუ გამოიცნობდით, საიდგანაც თოფ-წამალი კვამლს არ უშვებდა. იაპონელთა პოზიციებს მუდამ თავს ადგა პატარ-პატარა თეთრი ღრუბლები, რომელიც გახეთქილ ყუმბარებისაგან ჩნდებოდა. ხანდახან ორი-სამი ბატარეია მთელის დღის განმავლობაში ერთად ისროდა (შედლუხით). არც ერთ მხარეზედ ლაშქრებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ყოველ საათში ლიაოიანის სადგურიდგან მთელის თავის სისწრაფით ჩრდილოეთისაკენ გადიოდა მატარებლები.

**ტიანძინი**, 27 აგვსტო. (რეიტერი). ძარცვა-გლეჯა და ძალმომრეობა ვრცელდება და ჰლამობს რკინის გზის გასწვრივ მდებარე ოლქებში გადასვლასაც. დიდ ბრიტანიის ტიანძინში მყოფნი ქვეშევრდომნი უჩივიან საფრანგეთისა და გერმანიის კონსულებს, რომ ესენი ნებას აძლევენ ნიუ-ჯუანში ყოველგვარ სურსათ-სანოვაგის გაგზავნისასო. ინგლისის კონსული კი ამ გვარ სანოვაგის გაგზავნის ნებას არ აძლევს და ამბობს, ნება რომ მივცე, ეს ნეიტრალიტეტის ცხადი დარღვევა იქნებაო.

**ჩიფუ**, 26 აგვისტო. (რეიტერი). იაპონელებმა გააკეთეს რუსთა მშრალი დოკი დალნიში, სადაც ეხლა ისინი თავიანთ დაზიანებულ კონტრ-ნაღმოსანს აკეთებენ.

**ჩიფუ**, 27 აგვისტო. (რეიტერი). პორტ-არტურის მახლობლად მიმავალი იაპონელთა რაზმი, რომელშიაც 700 კაცი იყო, წააწყდა მიწის ქვეშ ელექტრონით გაყვანილს ნაღმს, რომელმაც რაზმი ააფეთქა, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე კაცი. პორტ არტურიდგან გამოქცეულნი ჩინელნი ამბობენ, რომ ასეთივე შემთხვევა მოუხდათ იაპონელთ თხრილით გარშემოვლებულ მე-7 № სიმაგრესთანაო. დაწვრილებით არაფერი იციან.

**ჩეი-ფაი-ჩეი**, 26 აგვისტო. (რეიტერი). ის გემები, რომელნიც სცდილობდნენ გამოერკვიათ მიზეზი ზარბაზნების სროლისა, რომელიც ისმოდა 25 აგვისტოს, ღამით, იუწყებიან, რომ სინათლე სჩანდაო, მაგრამ შეუძლებელი იყო იმისი გარჩევა, თუ ვის ესროდნენ იაპონელები: პორტ-არტურიდგან გასულ რუსის გემებს, თუ ჩინელებსაო.

**ტოკიო**, 26 აგვისტო. (რეიტერი). «ნოვიკის» მდგომარეობის გამოსარკვევად გაგზავნილ იაპონიის ექსპედიციის ოფიცრები იუწყებიან, რომ «ნოვიკი» ნაპირზედ გაირიყა კორსაკოვის კანდელიდგან 900 მეტრის მანძილზედ სამხრეთ-აღმოსავლეთად. გემის ცხვირის ერთი ნაწილი სრულიად დაფარულია წყალში, ზემოთა ბანი წყალში მხოლოდ ნახევარ მეტრზეა. შეუძლებელია იმისი გამორკვევა, თუ ვატერლინიას ქვეშ როგორაა დაზიანებული გემი, მაგრამ, ეჭვი არაა, რომ ძლიერ არის დაზიანებული. რუსის ჯარმა სროლა აუტეხა იაპონელთ მაგრამ ეს უზარალოდ განშორდნენ გემს.

**ტოკიო**, 27 აგვისტო. (რეიტერი). ჯერ არაა გამოქვეყნებული ოფიციალური მოხსენება იაპონელთა ზარალის შესახებ ლიაოიანთან მომხდარს ბრძოლაში, მაგრამ ამბობენ, ზარალი დიდიაო. მაგალითად, შუაგულ ლაშრის რამდენმამე პოლკმა დაჰკარგა ყველა უფროსი აფიცერი. ერთს როტას გამოაკლდა ყველა აფიცერი და უნტერ-აფიცერი, რის შემდეგაც როტას სარდლობდა დაბალი ჯარის-კაცი. ბრძოლის გათავებისას ამ როტაში ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 16 კაცი.

დროებით რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

24 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,70 |
| ბერლინში ,, . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . ,, . . . . . . | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 91⅛ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. ძამულო ბანკისა . . . | 88½ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 384 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 296 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 253 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.


# განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, ქედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
**„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“**
ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და ისყიდება ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა.
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
**უდიდესი ჯილდო**
(Grand prix)
პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
**რუსეთ-ამერიკის**
**რეზინის მანუფაქტურისას**
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს.




**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი
**„ლეოპ. ლდ ნიეშელლერი“**
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.
(60—41).